საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოჯიმა იასუჰირო

ი. კოჯიმა

კოჯიმა იასუჰირო (დ. 18. II. 1976, ქ. ავარა, ფუკუის პრეფექტურა, იაპონია), იაპონელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, კავკასიოლოგი, მთარგმნელი. 1994–98 სწავლობდა ტოკიოს უნ-ტში ზოგადი ენათმეცნიერების განხრით, 1998–2006 – ამავე უნ-ტის ასპირანტურაში. ქართ. ენით სტუდენტობისას დაინტერესდა. 2002 დაამთავრა თსუ-ის ასპირანტურა. ფლობს ქართულ, მეგრულ-ჭანურ და სვანურ ენებს. კ. ტოკიოს უცხო ენათა ინ-ტში იაპონელებს ასწავლის ქართ. ენას. 2013 დაჯილდოვდა საქ. პრეზიდენტის მედლით „სამოქალაქო თავდადებისთვის“. **კ**-მ იაპონურად თარგმნა ვაჟა-ფშაველას პოემები „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველისმჭამელი“ და რამდენიმე მოთხრობა; აგრეთვე ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“; მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძის, გ. რჩეულიშვილის, გ. ჩოხელის, ლ. თაბუკაშვილის ნაწარმოებები. 2011 იაპ. ენაზე გამოსცა ქართული ენის სახელმძღვანელო.

ს. მეტრეველი